ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6846641

ნომერი: AR11009585

თარიღი : 08.01.2024

გაცემის თარიღი : 17.01.2024

გაცნობის თარიღი : 17.01.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლადო მესხიშვილის ქუჩა, N 20;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ჯოჯუა პ/ნ 01005031190
- თბილისი ელ.ახვლედიანის ხევი N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 07 დეკემბრის №6793041 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 08 იანვრის №AR11009585 განცხადებით მომართა შოთა ჯოჯუამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 07

დეკემბრის №6793041 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ეტაპების მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 07 დეკემბრის №6793041 ბრძანებით №01.17.01.059.011 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის („ა“ და „ბ“ ბლოკები) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 07 დეკემბრიდან 2025 წლის 07 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 07 დეკემბრის №6793041 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, გამორჩენილია „ა“ ბლოკისთვის გათვალისწინებული ეტაპების დაფიქსირება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. კერძოდ, შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტით, „ა“ და „ბ“ ბლოკებისთვის მშენებლობის ეტაპები და მშენებლობის ვადები გათვალისწინებულია ცალ-ცალკე, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად ბრძანებაში მხოლოდ „ბ“ ბლოკის მშენებლობის ეტაპები და მშენებლობის ვადა დაფიქსირდა. ამასთან მშენებლობის ვადად უნდა დაფიქსირებულიყო „ა“ ბლოკის მშენებლობისთვის გათვალისწინებული ვადა (23 თვე), ნაცვლად ბრძანებაში დაფიქსირებული „ბ“ ბლოკისთვის გათვალისწინებული 14 თვისა. ამასთან, მშენებლობის ორგანიზების პროექტები და კალენდარული გრაფიკები არ იცვლება, ხდება მხოლოდ „ა“ და „ბ“ ბლოკებისთვის გათვალისწინებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტებზე და კალენდარულ გრაფიკებზე შესაბამისი აღნიშვნის დატანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 07 დეკემბრის №6793041 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 07 დეკემბრიდან 2025 წლის 07 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
4. მშენებლობის ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
„ა“ ბლოკისთვის:
I ეტაპი: ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე.
II ეტაპი: შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან პირველი და მეორე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
III ეტაპი: შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მესამე და მეოთხე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
IV ეტაპი: შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან მეხუთე სართულის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა;
V ეტაპი: შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა;
VI ეტაპი: შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის ტექნიკური ქსელების მოწყობა;
VII ეტაპი: არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
VIII ეტაპი: შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
IX ეტაპი: მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა.

„ბ“ ბლოკისთვის:
I ეტაპი: შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა;
II ეტაპი: შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის ტექნიკური ქსელების მოწყობა;
III ეტაპი: არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
IV ეტაპი: შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
V ეტაპი: მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, სამშენებლო ნარჩენების გატანა;

გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას “.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 07 დეკემბრის №6793041 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტები და კალენდარული გრაფიკები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული მშენებლობის ორგანიზების პროექტიებთ და კალენდარული გრაფიკებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 07 დეკემბრის №6793041 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 07 დეკემბრის №6793041 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.